



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგილაშვილი ოთარ ივანეს ძე

გოგილაშვილი ოთარ ივანეს ძე (დ. 21. II. 1938, თბილისი), მეტალურგი. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1990).

1961 დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტის (ახლანდ. ტექ. უნ-ტი) მეტალურგიის ფაკ-ტი. 1969–74 მუშაობდა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტში, სადაც 1975 მიანიჭეს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის წოდება. ამავე წელს მუშაობა დაიწყო ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას უნ-ტი).

იკვლევს პედ. თეორიის საკითხებს, ტექ. დისციპლინათა სწავლების მეთოდიკას.

თხზ.: ლითონების კოროზია ძაბვების ქვეშ (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1972; შრომის მასწავლებლის პიროვნების ჩამოყალიბება პედაგოგიურ ინსტიტუტებში (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1986; ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის მასწავლებლის პიროვნების მოდელირება, თბ., 1988.
